

რეგიონები - იმერეთი

დავით ლოსაბერიძე

ზოგადი დებულებები

იმერეთი ერთადერთი მხარეა საქართველოში, რომელიც არც მეზობელ სახელმწიფოებს ესაზღვრება და არც ზღვაზე გადის. ადმინისტრაციულად ის იყოფა 12 რაიონად, რომელთა შამადგენლობაში, საერთო ჯამში, 14 საქალაქო/სადაბო და 158 სასოფლო (დაახ. 550 სოფელი) მუნიციპალიტეტია გაერთიანებული.

იმერეთს საქართველოს რეგიონებს შორის ტერიტორიით მეხუთე ადგილი უკავია (ქვეყნის ტერიტორიის 9%), ხოლო მოსახლეობის მიხედვით (დაახ. 15%) ის პირველობას მხოლოდ თბილისს უთმობს. 80-იანი წლების ბოლოსათვის იმერეთზე მოდიოდა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახ. 20%.

იმერეთი აჭარასთან ერთად საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონს წარმოადგენდა. 1989 წელს მოსახლეობის სიმჭიდროვე კვადრატულ კილომეტრზე 120 კაცს აღემატებოდა, მაშინ როცა საქართველოს საშუალო მაჩვენებელი კვ. კმ-ზე 78 მცხოვრებს შეადგენდა.

საქართველოს ბარის, არამალამთიან რეგიონთა შორის იმერეთში ყველაზე მწვავედ იდგა სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების დეფიციტის პრობლემა - თუ რეგიონს ქვეყნის ტერიტორიის 9%-ზე მეტი უკავია, სამეურნეო სავარგულები შესაბამისად მხოლოდ 7%-ს შეადგენს.

სამაგიეროდ, რეგიონში შედარებით უფრო განვითარებული იყო მრეწველობა. ამის კარგ პირობებს ქმნიდა ჭარბი მუშახელი და ზოგიერთი სახის წიაღისეულის (მანგანუმი, ქვანახშირი, საშენი მასალები) და რეგიონზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელი მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალების არსებობა.

იმერეთის შიგნით საბჭოთა პერიოდში შეიძლებოდა ორი სოციალურ-ეკონომიკური ზონის გამოყოფა:

- სასოფლო-სამეურნეო ზონა, რომელიც იმერეთის უდიდეს ნაწილს მოიცავს – სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, აქ სოფლის მეურნეობის პროდუქცია არ იყო ექსპორტზე ორიენტირებული.
- სამრეწველო ზონები – მომპოვებელი და მეტალურგიული მრეწველობის და მანქანათმშენებლობის მსხვილ საწარმოთა და მათ გარშემო ტერიტორიები, სადაც სოფლის მეურნეობა დამხმარე როლს ასრულებდა. ამავე ზონას მიეკუთვნებოდა რეგიონის ცენტრი, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქი ქუთაისიც, რომელიც ამავე დროს საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო.

მრეწველობის დარგებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მანგანუმის მოპოვება. ჭიათურაში ის XIX ს. 70-იანი წლებიდან ვითარდება. XX ს. დასაწყისისათვის ჭიათურის მანგანუმს, როგორც შავი მეტალურგიისთვის აუცილებელ ნედლეულს, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსოფლო ბაზარზე.

საბჭოთა პერიოდში, 1933 ჭიათურის მანგანუმის ბაზაზე ამოქმედდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.

რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა 1945 წ. ამოქმედებული ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ტყიბულის ქვანახშირის მალარობი, რამდენიმე მანქანათსაშენებელი, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის საწარმო და სამტრედიის სარკინიგზო კვანძი, რომელიც XX ს. მანძილზე უმსხვილესი იყო სამხრეთ კავკასიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იყო დასაქმებული, იგი შედარებით მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. როგორც წესი, მრეწველობაში დასაქმებულთა დიდ ნაწილს გააჩნდა საკუთარი დამხმარე მეურნეობები, რომელთა შემოსავალსაც თავისი, მაგრამ მცირე ნაწილი ეჭირა საოჯახო ბიუჯეტებში.

არსებული მდგომარეობა

90-იანი წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა და ეკონომიკურმა ნგრევამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის სახე. ჩამოყალიბდა ახალი სურათი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ჰგავს საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ სურათს და ამავე დროს გარკვეულწილად განსხვავდება კიდევ მათგან.

რეგიონს ნაკლებად შეეხო ის პოლიტიკური ბატალიები, რომელსაც ქვეყნის დედაქალაქში, ავტონომიურ წარმონაქმნებში (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი) თუ მეზობელ რეგიონებში (სამეგრელო) ჰქონდა ადგილი.

- სამოქალაქო ომი რეგიონს მხოლოდ მცირე ხნით და მის მხოლოდ უკიდურეს დასავლეთ ნაწილს შეეხო (1993 წ. შემოდგომაზე). იმერეთმა ნაკლებად განიცადა ომის თანამდევი ისეთი პროცესებიც, როგორცაა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა და მაროდირთა თარეში, რამაც მძიმე დაღი დაასვა მეზობელ სამეგრელოს. იმავე სამეგრელოსაგან განსხვავებით, იმერეთში არასოდეს ყოფილა ძლიერი ტრაიბალისტური ტენდენციები, რაც, როგორც წესი, უფრო ამძაფრებს დაპირისპირებას.
- იმერეთი ეთნიკურად ერთგვაროვანი რეგიონია, აქ მოსახლეობის თითქმის 100%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. შესაბამისად, ვერ იარსებებდა რაიმე დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე. ყოველივე ამან რეგიონს შედარებით სტაბილური მხარის იმიჯი შეუქმნა.
- რეგიონი უმთავრესად სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. რაკი ეკონომიკური კრიზისი საქართველოში განსაკუთრებით დიდი სამრეწველო ობიექტების გაჩერებაში გამოიხატა, მან იმერეთში უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, ვიდრე შედარებით აგრარულ რეგიონებში. სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა აფხაზეთიდან ეთნიკური წმენდის შედეგად გაჩენილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადის შემოსვლამ.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ იმერეთში პრობლემები არ არის. მეტიც, შედარებით უფრო დაფარული პრობლემების არსებობა რთულად პროგნოზირებადს ხდის რეგიონის პერსპექტივებს.

წინამდებარე კრებულის ავტორთა შეხვედრებმა რეგიონის საზოგადოებრიობასთან გამოკვეთა მხარის წინაშე არსებული პრობლემების წყება, რომლებიც სამ ძირითად ურთიერთგადაჯავჭვულ ბლოკად: პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად შეიძლება იქნას დაყოფილი.

პოლიტიკური სიტუაცია

იმერეთი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პერიფერიის როლს ასრულებს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში საყოველთაო ეკონომიკურმა ნგრევამ და ადამიანთა ცხოვრების დონის მკვეთრმა გაუარესებამ შეასუსტა იმერეთის, როგორც დასავლეთ საქართველოს ლიდერის როლი.

იმერეთს არ გააჩნია ავტონომიურობის ისეთი ხარისხი, როგორც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. დამოუკიდებელი სტრუქტურების არსებობა საშუალებას აძლევს ამ უკანასკნელს, ხშირად დაუპირისპირდეს ცენტრალურ ხელისუფლებას საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მცდელობისას. ასეთი ასიმეტრიულობა ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობაში საკმაოდ აღიზიანებს იმერეთის საზოგადოებას. იმერეთის მკვიდრნი აღნიშნავენ, რომ ეს მხარე იჩაგრება თავისი კანონმორჩილების გამო. სამაგიეროდ, მისი ურთიერთობა ცენტრთან არ არის ისე გართულებული, როგორც აჭარის შემთხვევაში.

იმერეთის მმართველი ელიტები თვლიან, რომ მათ აზრს მეტი ანგარიში უნდა გაუწიონ ნაციონალურ დონეზე საკადრო თუ სხვა საკითხების გადაწყვეტისას. ამ განწყობების აქტუალობას ხელს უწყობს ისიც, რომ დღეისათვის საქართველოში მიმდინარეობს არსებული მსხვილი ეკონომიკური კლანების ფარული ბრძოლა მსხვილ სამრეწველო საწარმოებზე ჰეგემონიისათვის. იმერეთი, სადაც აღნიშნულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი, ამ ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიგონია. მაგრამ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ცენტრი ნაკლებ ანგარიშს უწყევს ადგილობრივი დაჯგუფებების ინტერესებს, ისინი მხოლოდ პასიური ფორმით გამოხატავენ.

უკმაყოფილება გამოითქმის რეგიონებში და რაიონებში მოქმედი სახელმწიფო სტრუქტურების ორმაგ დაქვემდებარებასთან დაკავშირებითაც. რაიონებში მოქმედი მრავალი სახელმწიფო დაწესებულება (განათლება, ჯანდაცვა, პოლიცია და ა. შ.) ფორმალურად ერთდროულად ექვემდებარება შესაბამის სამინისტროებს და ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს. პრაქტიკულად კი ამ სტრუქტურებზე სრულ კონტროლს ცენტრი (სამინისტროები და სახელმწიფო დეპარტამენტები) ახორციელებს. მაგალითისთვის, თითოეული სკოლის დირექტორს განათლების მინისტრი ნიშნავს. როცა არ არსებობს მუნიციპალური ქონებისა თუ თვითმმართველობის სტრუქტურები, რეგიონი ვერაფერს უპირისპირებს ცენტრის სრულ კონტროლს. ბუნებრივია, ეს აღიზიანებს ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფების უმეტესობას.

აღნიშნულ განწყობებს ნათლად გამოხატავს იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის (გუბერნატორის) თემურ შაშიაშვილის პოზიცია: ის ერთის მხრივ ახდენს პრეზიდენტის პოლიტიკური კურსის მხარდაჭერის დეკლარირებას, მეორეს მხრივ კი აკრიტიკებს მისსავე საკადრო პოლიტიკას და თანამდებობაზე ყოფნის მთელ მანძილზე საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა

სახელისუფლებო პარტიასთან, რომელსაც პრეზიდენტი (დღეს კი მისი სახელმწიფო მინისტრი) ედგა სათავეში.

მუნიციპალურ საბჭოებში, როგორც წესი, დაჯგუფებები იქმნება გარკვეული პიროვნებების, თანამდებობის მატარებელ პირთა ან სტრუქტურათა გარშემო. პარტიულ კუთვნილებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობას რეგიონის პირველ პირთან – გუბერნატორთან. მაგალითისათვის, ქალაქ ქუთაისის საკრებულოში რამდენიმე პოლიტიკური პარტიაა წარმოდგენილი, მაგრამ ისინი ერთიანდებისან გუბერნატორის გაშემო (რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე შეთავსებით ქალაქის მერიც იყო) და ამ უკანასკნელს უფრო უწევენ ანგარიშს, ვიდრე საკუთარ პარტიათა მოთხოვნებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობისას იმერეთის რეგიონში განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელისუფლების მიერ პოლიტიკური პოპულიზმის მეთოდების გამოყენება: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საშუალო სხდომების პირდაპირი ტრასლაცია ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი ტელევიზიით, სადაც გუბერნატორი საჯაროდ აკრიტიკებს ამა თუ იმ ხელმძღვანელს და ბრალს დებს ხალხის ნების გაუთვალისწინებლობაში, უკვე ყოველდღიურ მოვლენად იქცა. მიუხედავად ამისა, როგორც ეს საზოგადოების წარმომადგენლებთან საუბრისას ჩანს, ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ სარგებლობს პოპულარობით.

გარდა ამისა, რეგიონის პარტიულ-პოლიტიკური დაპირისპირებებისათვის დამახასიათებელია უკანონო ხერხების, ხოლო სახელისუფლებო ჯგუფების მიერ – სახელმწიფო ძალაუფლების ბერკეტების არამართლზომიერი გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. არსებული სურათის საილუსტრაციოდ ორი ფაქტის მოტანა შეიძლება:

- 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიები მიმართავდნენ ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ ხმების მრავალჯერ მიცემის აპრობირებულ მეთოდს, ე. წ. კარუსელს. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის მიერ 120-კაციანი ჯგუფი იყო მობილიზებული, რომლებიც სხვადასხვა დოკუმენტების გამოყენებით არაერთ უბანში აძლევდნენ ხმას. საინტერესოა, რომ მიუხედავად ასეთი დარღვების საკმაოდ თვალსაჩინო ხასიათისა, მისი საჯაროდ დაფიქსირება არავის, მათ შორის პოლიტიკურ ოპონენტებს, არ უცდიათ.
- თვითმმართველობის პირველ, მუნიციპალურ დონეზე 1998 წლის ადგილობრივ არჩევნებში ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გამარჯვება ოპოზიციურმა პარტიებმა მოიპოვეს. რეგიონის ხელისუფლებამ ამას იმით უპასუხა, რომ ეს მუნიციპალიტეტები (მაგ. სოფლები ქვედა სახარა, მეორე სვირი) ცენტრალური ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანხების მხოლოდ 6 პროცენტს იღებენ. პრობლემა უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოქმედი სისტემის მიხედვით ტრანსფერები ადგილობრივი ბიუჯეტების 85-90%-ს შეადგენს.

რეგიონში განსაკუთრებით გავლენიანი ძალა პოლიციაა, რომელიც აქტიურად ერევა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, ის ახდენს არჩევნების პროცესში ელექტორატის დაშინებას, ახორციელებს პოლიციური რეკეტს მცირე და საშუალო ბიზნესმენებისგან. იყო შემთხვევები, როცა ეჭვმიტანილის ადვოკატს პოლიციის ოფიცერმა შესაბამისი საბუთი შეუჭამა

და კლიენტთან არ შეუშვა, როდესაც ფიზიკურად გაუსწორდა როგორც დაკავებულს, ისე მის ადვოკატს.

წლების მანძილზე შეინიშნება შსს აპარატის, პირადი შემადგენლობის რიცხვის ზრდა, რასაც მოყვება დანამაჟლის ოდენობის არა შემცირება, არამედ გაზრდა. გავრცელებული აზრით, პოლიციის წარმომადგენლები მფარველობენ ნარკობიზნესს რეგიონში და ხშირად თვითონ გვევლინებიან ნარკოდელერებად.

ეკონომიკური სიტუაცია

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, იმერეთში ეკონომიკისა და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ მხარეში დიდია ე. წ. ჩიხური (სანტრანსპორტო მაგისტრალებს მოშორებული) და ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიების (ჭიათურა, ტყიბული, ზესტაფონი) წილი. 2001 წელში ჩატარებული სიღარიბის გამოკვლევით, იმერეთი, გურიასა და კახეთთან ერთად, ყველაზე ღარიბი რეგიონების სიაში მოხვდა (იხ. დანართი 20A). დღეისათვის უკვე აღარ შეიძლება ვისაუბროთ იმერეთში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ზონების არსებობაზე, ვინაიდან სამრეწველო ზონებმა სრულიად დაკარგეს თავიანთი ფუნქცია, ხოლო სოფლის მეურნეობისა და, განსაკუთრებით, მცირე ბიზნესის, მომსახურების სფეროს განვითარებით იმერეთი ბევრ სხვა რეგიონს ჩამოუვარდება.

მაგალითისათვის, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1997-1999 წლებში საქართველოში დამუშავებითი და სამთომოპოვებითი მრეწველობის სფეროში დასაქმებულ პირთა საშუალო თვიური ხელფასი 51 ლარიდან 54 ლარამდე, ანუ სულ მცირედ გაიზარდა. ეს იმ დროს, როცა სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობის სფეროში საშუალო თვიურმა შემოსავალი იმავე პერიოდში თითქმის გაორმაგდა (შესაბამისად 13-დან 27 ლარამდე და 22-დან 38 ლარამდე). ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობის სფეროში, ძლიერი ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის გათვალისწინებით, რეალური მონაცემები ბევრად აღემატება ოფიციალურს. შენიშვნისათვის, საქართველოში ერთი ოჯახის საშუალოთვიურმა შემოსავალმა 1999 წელს 238 ლარი შეადგინა.¹

მრეწველობის დარგის საშუალო ხელფასის ოდენობის სტაგნაციასთან ერთად, მოხდა სფეროში დასაქმებულ პირთა რიცხვის შემცირება 49 ათასიდან (1994) 21 ათასამდე (1999). იმავე პერიოდში მომსახურების სფეროს შემოსავალი 1996-1999 მხოლოდ 13%-ით, 4.5 მლნ. ლარიდან 5.1 მლნ. ლარამდე გაიზარდა (სულ საქართველოში იმავე პერიოდში ეს მაჩვენებელი თითქმის გაორგვდა - 23.6 მლნ. ლარიდან 42.3 მლნ. ლარამდე).²

პრესის მონაცემების თანახმად, მსხვილ მრეწველობაში სიტუაციის გაკონტროლებას მსხვილი თბილისური კლანები ცდილობენ. იმერეთში გამოკვეთილი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მქონე ადგილობრივი დაჯგუფება არ არსებობს. მოქმედ საწარმოთა ხელმძღვანელები, ადგილობრივი

¹ იხ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წელიწადური, 2000, გვ. 59-60, 75.

² იქვე, გვ. 175-176, 230.

ბიუროკრატიული ელიტა და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებიც კი ამა თუ იმ ცენტრალურ კლანს არიან მიკედლებული. მაგალითად, დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაცემებით, ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნის ხელში ჩასაგდებად ორი დაჯგუფება იბრძოდა, რომელთაგან პირველს (ქარხნის ამჟამინდელი დირექტორი, რამდენიმე რუსული ფირმა, იმერეთის გუბერნატორი) საზოგადოებრივი აზრი პრეზიდენტ შევარდნაძის ოჯახის წევრებისა და ნათესავების კლანად მოიაზრებს, ხოლო მეორეს (კომპანია „გერისი“) პროდასავლური ორიენტაციის მქონე ახალგაზრდა რეფორმატორების (პარლამენტის ექსპიკერი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი) ინტერესებს უკავშირებს. ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს აზრი, მაგრამ ის კარგად ასახავს საზოგადოების განწყობას და მიანიშნებს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების გადაჯაჭვულობის ზოგად ტენდენციასზე.

ასეთი გადაჯაჭვულობის ფონზე ბუნებრივია ეფექტური ეკონომიკური ურთიერთობების არარსებობა. მაგალითად, ჭიათურის მანგანუმი უცხოეთში საერთაშორისო ფასზე იაფად იყიდებოდა, მაგრამ იმავე ნედლეულის იმპორტირებას ზესტაფონის ქარხანა ორჯერ ძვირად ახდენდა. ასეთ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა არა მარტო რეალური ხელფასების შემცირება და უმუშევრობის ზრდა, არამედ საწარმოთა ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებაც. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა იმ მიწის გადასახადსაც ვერ იხდის, რომელზეც ქარხნის ობიექტებია განლაგებული.

სიტუაცია არც მცირე ბიზნესშია სახარბიელო. რამდენიმე წლის წინ ქალაქ ქუთაისში სანიტარული სიტუაციის გაუმჯობესების მოტივით აიკრძალა ქუჩის ვაჭრობა და დაიხურა სავაჭრო ჯიხურები. ამას შედეგად მოყვა მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა კაპიტალის გადინება თბილისში, სადაც ანალოგიური შეზღუდვები არ მოქმედებდა. ამავე დროს ადგილობრივი წარმოება ვერც პროდუქციის ხარისხითა და ვერც სიიარაღით კოკურენციას ვერ უწევს კონტრაბანდული წესით შემოტანილ იმპორტულ საქონელს და კოტრდება (ქალაქ ბაღდათში ეს მოუვიდა საპნის საწარმოს).

როგორც ყველგან, კრედიტის მისაწვდომობა დიდი პრობლემაა მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებამდე ხშირად არ მიდის ინფორმაცია მათი საქმიანობის დახმარების პროგრამების შესახებ. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი დასავლური დახმარების პროგრამის ფარგლებში ხდებოდა უპროცენტო, 50 ათას ლარიანი, კრედიტების გაცემა მცირე ბიზნესის წახალისების მიზნით. მაგრამ მოსახლეობას ამის შესახებ არ გაუგია, ვინაიდან სახელმწიფო აპარატმა, რეალური კონკურსის თავიდან აცილების მიზნით, მხოლოდ მოხელეთა ახლობლებისა და ნათესავების ინფორმირებაზე იზრუნა.

არსებობს ბიზნესის შედარებით განვითარებული სფეროებიც: ბენზინგასამართი სადგურები, კომერციული საინფორმაციო საშუალებები, ალკოჰოლისა და წველების მწარმოებელი მცირე საწარმოები. მაგრამ, გავრცელებული აზრით, წარმატებული ბიზნესის წარმოება შეუძლებელია კრიმინალური და/ან სახელმწიფო სტრუქტურების “მფარველობის” გარეშე.

არსებობს სიტუაციის მოგვარების მცდელობის პრეცედენტები. მაგალითად, იმერეთის გუბერნატორის დავალებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად;

ევროკავშირის ფინანსური დახმარებით TACIS-ის ფარგლებში მოქმედებდა იმერეთის რეგიონის განვითარების 750 ათას დოლარიანი პროგრამა; ქუთაისის საავიაციო საწარმომ მიიღო USAID-ის დაკვეთა 15 ერთეული „მერკურის“ ტიპის თვითმფრინავის გამოშვებაზე და ა. შ., მაგრამ აღნიშნული პროექტები ან ვერ ამუშავდა, ან მათი განხორციელებით მიღებული ეფექტი არ არის ხელშესახები.

ამ სფეროში დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ:

- სახეზეა სამეურნეო საქმიანობის კრიმინალიზაციის ტენდენცია.
- მეურნეობის დარგები ან სრული სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფება, ან, თუ მუშაობს, ძირითადად ჩრდილოვანი ეკონომიკის კანონებით.
- რეგიონში ბიზნესი, დედაქალაქთან შედარებით, მეტად სუსტად ვითარდება. განსხვავება ცხოვრების დონის მიხედვით იმერეთის რეგიონსა და თბილისს შორის განუხრელად იზრდება.
- მოსახლეობის დაბალი მსყიდველობით უნარიანობის გამო მეტად სუსტია ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზარი.
- სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ჩამოუყალიბებელია და მისი რეფორმირება მუნიციპალური ერთეულებისათვის უფლებების გაზრდის მიმართულებით ფაქტიურად არ ხორციელდება.

სოციალური სიტუაცია

იმერეთს სხვა რეგიონებისაგან (სამეგრელო, გურია, აჭარა) განასხვავებს პიროვნულ თუ საზოგადოებრივ დონეზე ტრაიბალისტური ურთიერთობების ნაკლები გავლენა. ამავე დროს, მთელი რიგი სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ სხვა მხარეების მოსახლეობასთან დემოკრატიის მხარდაჭერის შედარებით დაბალი დონის არსებობას.

1997 წელს ჩატარებული ერთ-ერთი საერთოეროვნული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ იმერეთის მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილისათვის სულერთია, ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არჩევითი იქნება თუ დანიშნული.³ საზოგადოება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სოციალური ვალდებულებების შესრულებას. სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის ხაზგასმა განსაკუთრებით ძლიერია ყოფილ სამრეწველო რაიონებში, რომელთა მოსახლეობის ცხოვრების დონეც, იგივე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიათაგან განსხვავებით, საბჭოთა პერიოდში საკმაოდ მაღალი იყო.

წარსულის ნოსტალგიის გამოვლენად უნდა ჩაითვალოს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში პრორუსული განწყობების ზრდაც, რაც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდის შედარებით კეთილდღეობასთან ასოცირდება.

ამასთან რეგიონში საკმაოდ ძლიერია სახელმწიფო სტრუქტურებისადმი პრინციპული უნდობლობაც. კანონის ფარგლებში სახელმწიფო სტრუქტურებთან (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) თანამშრომლობა არ ითვლება ეთიკურ

³ იხ. მსვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისა (თბილისი, საქართველო) და არნოლდ ბერგშტრასერის ინსტიტუტის (ფრაიბურგი, გერმანია) მიერ 1997 ჩატარებული საერთოეროვნული სოციოლოგიური გამოკითხვის მასალები, დ.ლოსანგეისი, თვითმმართველობა საქართველოში (განვითარების ტენდენციები), თბილისი, 1998, გვ. 37-39, 98.

საქციელად. რიგითი მოქალაქე ამჯობინებს არაფორმალური ურთიერთობების გზით მოაგვაროს მის წინაშე არსებული პრობლემები.

აღნიშნული განწყობების გაძლიერებას ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული ქაოსი და კორუფცია. შესაძლებელია მოვიყვანოთ სახელმწიფოს მხრიდან კანონდარღვევების რამდენიმე ტიპიური მაგალითი:

- არის შემთხვევები, როცა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სახელმწიფო სტრუქტურა 15 დღეს ითხოვს კანონით დადგენილი 10 დღის ნაცვლად. ანალოგიური პრობლემები სწრაფად გვარდება, თუ კორუფციის მექანიზმი იქნა გამოყენებული. ასეთივე სისტემა მოქმედებს მოქალაქეთათვის ნებისმიერი სახის ლოკუმენტაციის გაცემასთან დაკავშირებული ფორმალობების შესრულებისას.
- ხდება ისედაც მიზერული პენსიების დაგვიანება 5 და მეტი თვის განმავლობაში. როგორც წესი, ადგილობრივი ბიუროკრატია აღნიშნულ თანხას აღნიშნულ პერიოდში საკუთარი ინტერესებისათვის იყენებს. პრობლემის გახმაურების შემდეგ თანხის გაცემასთან ერთად ხდება პენსიონერთა დაშინება, რათა მათ არ განაცხადონ მომხდარის შესახებ.
- გარკვეული დაჯგუფებები ცდილობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო გააკონტროლონ. ქუთაისში ჩამოყალიბდა ე. წ. „სამეგობრო“ ძველი კომკავშირული ნომენკლატურის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ეს არის დახურული ელიტარული წრე, რომელიც ერთმანეთში ინაწილებს ყველა გავლენიან თანამდებობა და ხშირად უკანონო მეთოდებს იყენებს “უცხოთა” წინააღმდეგ.
- ხშირია აშკარა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებიც. მაგალითად, ქალაქ წყალტუბოს ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მეუღლემ გახსნა ფასიანი საბავშვო ბაღი, რომელშიც, დაუწერელი კანონის თანახმად, თავიანთი შვილები დაყავთ მუნიციპალიტეტის მოხელეებს და იხდიან საკმაოდ მაღალ გადასახადს. სხვა ბაღში ბავშვის გადაყვანა მშობელს შეიძლება სამსახურის დაკარგვის ფასად დაუჯდეს.
- საჯარო მოხელეთა დისკრიმინაციის მაგალითად გამოდგება რიგით პოლიციელთაგან არაპირდაპირი გადასახადის ამოღება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია უნიფორმით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, პოლიციელებს 80 ლარს (დაახლოებით რიგითი პოლიციელის ერთი თვის ხელფასი) ახდევინებენ ახალი ფორმის საფასურად. ბუნებრივია, ასეთი წესი პოლიციაში გამეფებული კორუფციის არაპირდაპირი ლეგიტიმაციაა.

ეს და ანალოგიური სიტუაციები აძლიერებს საზოგადოების ცინიკურ განწყობას ხელისუფლებისადმი. ამას თან ერთვის საკუთარ უფლებებში მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუთვინციანობა. უკმაყოფილებას ადამიანები მხოლოდ ყოველდღიურ ურთიერთობებში გამოთქვამენ. რაც შეეხება მიტინგებსა და სხვა სახის საპროტესტო აქციებს, სოციალური საკითხების გამო ანალოგიური ქმედებები საკმაოდ იშვიათია. საზოგადოებრივი პროტესტის აშკარა ფორმებით გამოხატვა მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ხდება.

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით იმერეთი გამოირჩევა უმუშევრობის მაღალი დონითა და მაღალი მიგრაციული სალდოთი. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს იმ იბულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების პრობლემა, რომლებიც რეგიონის ტერიტორიაზე, საკურორტო ზონებში არსებულ

სასტუმროებსა თუ სხვა, ანალოგიური სახის დაწესებულებებში არიან განთავსებულნი.

მოსახლეობის მიგრაცია ძირითადად თბილისში და საზღვარგარეთ ხდება. ბოლო ხანებში თბილისში შეინიშნება იმის ტენდენცია, რომ იმერეთის რეგიონიდან წამოსული პირები თანდათან იკავებენ ეკონომიკის ყველაზე დაბალანაზღაურებად, ნაკლებპრესტიჟულ ნიშას (როგორცაა ქუჩაში საცალო ვაჭრობა).

საკმაოდ ძლიერია შიდა რეგიონული მიგრაციაც. ხდება მოსახლეობის გასვლა ქალაქებიდან სოფლებში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობას მიწის ნაკვეთები აქვს. ხდება ყოფილი მუშებისა და ინტელიგენციის გადასვლა თვითგამოკვებაზე ორიენტირებულ სოფლის მეურნეობაზე. მაგრამ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაქსიმალური შეზღუდულობის პირობებში შიდა მიგრაციისათვის აუცილებელი ეს რესურსიც საკმაოდ შეზღუდულია.

ბოლო ხანებში სოციალური აპათიის ნიშნებთან ერთად შეინიშნება სოციალური დაძაბულობის ზრდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი უმთავრეს მტრად საკუთარ ხელისუფლებას მიიჩნევს. ამასთან ადამიანები თვლიან, რომ იმერეთში არსებულ პრობლემებს, სხვა რეგიონებთან შედარებით (აჭარა, სამეგრელო, კახეთი), ცენტრი ნაკლებად აქცევს ყურადღებას. ამის გამო, იზრდება შიში, რომ ეს დაძაბულობა გადაიზრდება სოციალურ აფეთქებაში. გამოითქმის მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოება გაყვება ნებისმიერ ლიდერს, ვინც ხელისუფლების მძაფრი კრიტიკითა და პოპულისტური ლოზუნგებით მოახერხებს მათი ყურადღების მიპყრობას.

მესამე სექტორი რეგიონში საკმაოდ სუსტია. მიუხედავად მრავალრიცხოვნებისა (მარტო ქუთაისში 200-მდე), არასამთავრობო ორგანიზაციათა უმეტესობა სუსტია ან მხოლოდ ფორმალურად არსებობს. ნაკლებ განვითარებულია დამოუკიდებელი მედიაც. ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები ძირითადად სახელმწიფოს ან ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფების ხელშია. იგივე ჯგუფები გავლენას ახდენს პრესაზეც.

ამ ფონზე უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სამოქალაქო აქტივობის წარმატებული მაგალითებიც. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში იმერეთის ორ საარჩევნო ოლქში (ზესტაფონი და თერჯოლა) ოპოზიციური პარტიების კანდიდატებმა, რომელთაც მოსახლეობა უჭერდა მხარს, ადგილობრივი კლანების წარმომადგენლებს (რეგიონის პურით მომარაგების სამსახურის ხელმძღვანელი და მეტალურგიული ქარხნის დირექტორი) სერიოზული მარცხი აგემეს. ელექტორატის აქტიური მოქმედების შედეგად (საპროტესტო მიტინგები, პიკეტები და ა. შ.). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცენტრალური ხელისუფლების აპარატს არ უცდია საარჩევნო პროცესში უხეში ჩარევა.

2002 წლის 2 ივნისის მუნიციპალურ არჩევნებზე ელექტორატის საკმაოდ მაღალი აქტივობა დაფიქსირდა (ზოგიერთ რაიონში 2/3-ზე მეტი). საერთოდ რეგიონებში უფრო მაღალი აქტივობა იყო, ვიდრე დედაქალაქში, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს რეგიონებისათვის მუნიციპალური სისტემის მნიშვნელობაზე.

საზოგადოებრივი აქტივობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითად უნდა ჩაითვალოს მასწავლებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირის – “სოლიდარობის”

შექმნა, რომელიც რეგიონის მასწავლებელთა ინიციატივით დაარსდა და თანდათან საერთოეროვნული გაერთიანების სახეს იღებს.

დასკვნა: რეგიონის თავისებურებანი

შესაძლებელია იმ ნიშნების გამოყოფა, რითაც იმერეთში შექმნილი სიტუაცია გასხვავდება სხვა რეგიონებში არსებული მდგომარეობისაგან:

- გეოგრაფიული თუ ეთნიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, იმერეთს არ განუცდია ისეთი მასშტაბის პოლიტიკური თუ ეთნიკური სახის დაპირისპირებები, როგორც ზოგ სხვა რეგიონს.
- ცენტრალურ ხელისუფლებასთან არ შეინიშნება აშკარა დაპირისპირება. მკვეთრად ჩამოყალიბებული, ძლიერი რეგიონული კლანი იმერეთში არ არსებობს. შეინიშნება სახვადასხვა თბილისურ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დაჯგუფებათა დიდი გავლენა.
- რაკი სამრეწველო საწარმოების როლი რეგიონის ეკონომიკაში საკმაოდ მაღალი იყო, შედეგად ეკონომიკური კოლაფსი საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მტკივნეულად აქ იგრძნობა. სხვა რეგიონებთან შედარებით რეგიონისთვის სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის ზრდის ყველაზე დაბალი განვითარების ტემპებია დამახასიათებელი.
- რეგიონში არ არსებობს ისეთი ძლიერი ტრადიციული ტენდენციები, როგორც სამეგრელოში ან აჭარაში. საზოგადოება პოლიტიკურზე უფრო ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით ინტერესდება. ძლიერია სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მოთხოვნა და წარსულისადმი ნოსტალგიის გრძნობა.
- იმერეთში დაფიქსირებულია უმუშევრობის ძალზე მაღალი მაჩვენებელი, რასაც შედეგად მოსდევს მიგრაციის გაძლიერება და სოციალური სოციალური უკმაყოფილების ზრდა. მიუხედავად ამისა, არ შეინიშნება სოციალური გამოსვლების სიხშირე.

პერსპექტივები და რეკომენდაციები

რეგიონის განვითარების პერსპექტივები არსებული პოლიტიკური სიტუაციის შენარჩუნების შემთხვევაში არცთუ საიმედოდ გამოიყურება. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე იმერეთი ერთის მხრივ ემიგრაციის თუ შიდა მიგრაციების ზონა, მეორეს მხრივ კი სტიქიური სოციალური მღელვარებების და, მასთან ერთად, საერთო პოლიტიკური დესტაბილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა შეიძლება გახდეს. ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სახელმწიფო სისტემაში ძირეული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება:

- უნდა განისაზღვროს რეგიონის როლი და ფუნქცია სახელმწიფოში. განსასაზღვრია ტერიტორიული მოწყობის მოდელი. რეგიონების ინტერესები ცენტრში უფრო მტკიცედ უნდა იყოს დაცული.
- მუნიციპალური დონის მმართველობამ უნდა მიიღოს მეტი უფლებამოსილებანი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარების სფეროში. საქართველოს

კანონმდებლობამ უნდა მოახდინოს ადმინისტრაციული, ქონებრივი და საბიუჯეტო უფლებების მკაფიო გამიჯვნა.

- ყველა ადგილობრივი უმაღლესი თანამდებობა არჩევითი უნდა გახდეს. ადგილობრივი ლიდერები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ მოსახლეობისა და არა ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე. უნდა გაძლიერდეს ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები.
- სახელმწიფო აპარატში კორუფციის დონის შესამცირებლად და ადამიანთა პოლიტიკური, სამოქალაქო და სოციალური უფლებების დაცვის მიზნით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო განათლების სისტემის გაძლიერებას, სამოქალაქო ორგანიზაციების ხელშეწყობას და ეთიკური ქცევის კოდექსთა ჩამოყალიბებას.
- განსასაზღვრია ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. რეგიონის ეკონომიკაში უნდა გაიზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესისა და მომსახურების სფეროს როლი, რომლებმაც უნდა დაიკავეთ ის ნიშა, რაც ადრე ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში მსხვილ მრეწველობას ეკავა. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებას პრიორიტეტული როლი უნდა მიეკუთვნოს. არანაკლებ პერსპექტიულია რეგიონში რეკრეაციული მეურნეობის განვითარებაც.

საზოგადოებაში გამეფებული აპათიისა და საკანონმდებლო ნიჰილიზმის დაძლევის უმთარესი როლი ეკისრება აღნიშნული ქმედებების წარმატებით განხორციელებისათვის. რეგიონს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებმა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბოლო დროს დასავლელი დონორების ინტერესი იმერეთისადმი გაიზარდა. სასურველია, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.

გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ბოლო ხანებში საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების როლის წარმოჩენა და ზოგიერთ რაიონში ელექტორატის აქტიუობა: საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციათა განვითარება, ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი პროფკავშირული მოძრაობის მზარდი ავტორიტეტი იძლევა იმედს, რომ რეგიონი, სერიოზული მხარდაჭერის პირობებში, მოახერხებს არსებული კრიზისის დაძლევას.